1913

ნაპერწკალი

ბავშვთა ფურნალი

·მსურველ წლოვანთათვის·



აპრილი.

№ 7

ნაკადული

წელიწადი მე-IX. № 7 აპრილი, 1913 წ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა



კურდღლების სკოლა.

შინაარსი:

I—კურდღლების სკოლა,—სურათი 1

II—სიზმარი, -(საადგომო დექსი) დადო გეგეჭკორისა. . 3

III—თინას ბატკანი,—(საადგომო მოთხრობა) ირ. ევდოშვილისა 5

IV - შერცხვენილი სტუმრები—(საადგომო ამბავი) ვ. თამრიშვილისა 10

V—ცრემლები,—(თარგმ.) ნინო ნაკაშიძისა . . . 16

VI - ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი,—ნ-ისა . . . 20

VII—გასართობი: ანდაზა (ვაჟა-ფშაველასი), ამოცანა და აღსნა 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაბაევის შესახვევი №



სიზმარი.

ერისტე ადგდგა!—მიულოცა,
დედამ შვილებს ჰაწიწინას
და წითელი კვერცხი მისცა
სამი ნინოს, სამიც თინას!

—

ნინომ ორი გადამალა,
სთქვა:—ერთი მაქვს მე კვერცხიო;
თინას უთხრა: შენ სამი გაქვს,
ერთი მაინც მომეციო!

—

ადარ მისცა, მაშინ ნინომ
გამოსტაცა და გაიქცა,
მაგრამ მოლხე დაგდებულ ქვას
ფეხი წაჰკრა და წაიქცა!

—

თინა უკან გაედევნა,
ისიც გადაკოტრიალდა;
გაუვარდა მას კვერცხები,
გატეხდა და შორს გასრიალდა!

თინას გული ამოუჯდა,
რომ ნინომ ეს გაუბედა;
ატირდა და აღრიალდა,
დაიძახა: დედა, დედა!

—

და მოლზე დაგდებულ თინას
დედა თავზე წამოადგა;
აიუვანა, მოეფერა,
მიულოცა „ქრისტე აღზდგა!“

—

თინა შეკრთა, გაიზმორა
და თვალები გააჭყიტა...
რა რომ ნახა—ნინოს სძინავს,
გაიცინა და სთქვა „ჭიტა!“

ლადო გეგეჭკორი.



თინას ბატკანი.



ნუ სტირი, ნუ, ჩემო ბეკეკავ!—აბა რა ვატირებს! რძეს დაგალევინებ, ქადას გაჭმევ, კვერცხებს დაგიღებავ, ევლოგიაზე წაგიყვან, ერთად ვითამაშებთ!..—ეალერსებოდა თინა ბაწია ბატკანს და თან თავზე ხელს უსვამდა, რომ დაეჩუმებინა.

— ბეეე, ბეეე... არ სცხრებოდა ბატკანი და ნაღვლიანად ატრიალებდა თვალებს აქეთ-იქით.

— რად სტირის, დედი, ჭა,—რად სტირის ბატკანი?—შეეკითხა თინა დედას, რადგანაც ბატკანი მხოლოდ „ბეეს“ გაიძახოდა და ეურს არ უგდებდა თინას ალერსს.

— დედას ეძახის, შვილო, დედას: ენაღვლება.

— დედაას?

— ჭო, თავის დედას!

თინა ჩაფიქრდა, შეხედა დედას, შემდეგ ბატკანს, და გადაუსვა ლამაზ თვალებზე ხელი, რომ ცრემლები ჩამოეწმინდა მისთვის.

— სად არის დედაშენი, ჭა?—შეეკითხა გულ-მტკივნეულად თავხუჭუჭა ბეკეკას.

— ბეეე... უპასუხა ბატკანმა.

— რაო? შორს? ძალიან შორს?

— ბეეე...

— დიას, დიას, შორს! ჰო, მიგისვდი. მერე სად არის ის „შორს,“ ჰა? მიამბე, გეთაყვა!—შეეხვეწა თინა და, რომ გული მოელბო მისთვის, თეფშით რძე მიუტანა ტუჩებთან.

ბატკანმა რძეს დაადვა ალისფერი ტუჩები, გაისველა ენა, მერე მიდვა თინას მხარზე თავი და მოიყვა თავის ამბავს.

— იცი სად არის „შორს? „შორს“ არი—ალი, ამ ქალაქიდან, აქედან რომ წავალთ, ვივლით ძრიელ ბევრს, ბევრს, და, თუ კარგად ვიარეთ და ფეხებიც არ აგვტკივდა, დილით გასულნი მეორე დილას ივრის ჰირზე გავჩნდებით...

— ივრის ჰირზე?

— ჰო, ივრის ჰირზე. იორი წყალია გარედ კახეთში, ძალიან კარგი წყალი: მორბის მთებიდან, მოსრიალებს და მომღერის; მერე ნელ-ნელა ეშვება ვაკეზე და აქ-კი მინდვრის უვავილებში გასვეული მიდის ნელ-ნელა და წუნარად.

— მგონი რამდენს სცურაობდი შიგ, ჩემო ბეკეკავ: რა კარგად დაგიბანია თავი!—შეეკითხა კიდევ თინა და თეთრ ხუჭუჭა თავზე გადაუსვა ხელი.

— უჰ, როგორ შეიძლება ჩემი ბანაობა მდინარეში: ჩვენ ცურვა როდი ვიცით; არც დედაჩემი ცურაობს: დახრჩობის გვეშინიან; წყალს-კი გულიანად შეექცეოდა დედა...

— შენ?

— მე რძეც მეოფნიდა, დედიჩემის ტკბილი რძე და ბალახის ნამი. ოჰ, რომ იცოდე, რა მშვენიერია ახლა იქაურობა! ივრის მინდორი, ივრის მინდორი! ახ, ნეტავ ერთხელ კიდევ მიჩვენა იქაურობა!—ინატრა ბატკანმა და ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი.

— განა აქ არ მოგწონს? აი რა მშვენიერი ხალიჩაა! რამდენიც გინდა იკოტრიალე ზედ; ერთად ვითამაშოთ, გინდა გიჩვენო ჩემი დედოფლები?

— ხალიჩა!---ამოიკვნესა ბატკანმა და გაჭხედა ფანჯრიდან ჰირდაჰირ შორს ამართულ მწვანე ქედს: შენ მაშ ჯერ არ გინახავს ჩვენი ხალიჩა, თორემ ასე არ მოგეწონებოდა თქვენი რაღაც ხალიჩაა; აბა რა ხალიჩაა ეს, როდესაც ერთი ღერი ბალახიც-კი არ არის ზედ.

— განა თქვენ ხალიჩაზე-კი ბალახი მოდის?

— ჩვენ ხალიჩაზე?—გაიკვირა ბეკეკამ: — ჩვენი ხალიჩა მთელი ივრის მინდორია, დიდი და თვალ-უწვდენი, ივრის ორსავე ჰირს გადაშლილი, მწვანე, ბიბინა, ჯეჯილით მორთული, ბალახით გახასხასებული, იით აჭრელებული, თეთრთვალება ეკავილებით მოქარგული, ალმასის ნამებით დაწინწკლული; მიდის, მიექანება, მიიჭიმება სამხრეთისკენ, და თავი-კი ჩრდილოეთისკენ ამართულ დიდ, უზარ-მაზარ მთის კალთაზე უმევს—აი, ასე, როგორც მე მიგაერდნობდი ხოლმე დედის მხარს თავს. მერე ტოროლა, ღმერთო ჩემო, რომ იცოდე, რა ლამაზი და კოხტა ჩიტუნაა: რუხი, თმა-ქოჩორა, ფრთა-მარდი; რაგორ მიეკარდა, რაგორ უეკარდი! ამოჰყოფდა თუ არა მზე თავს, აფრთხიალდებოდა ჯეჯილიდან, წავიდოდა სიმღერით მაღლა, მაღლა, შორს, ცის კიდურისაკენ და შეუწყვეტელი სიმღერით დამტრიალებდა თავს. მას მიჰყვებოდნენ სხვებიც და იმართებოდა ცაში სტვენა და გალობა; მე-კი მათ სიმღერაზე თამაშობა მომინდებოდა ხოლმე: ფეხები თავისთავად მიცეკვავდნენ, ხან ეელზე ვახტებოდი დედას, ხან ძუძუებში ვეხუტებოდი, ხან ამხანაგს წავერქინებოდი. ტოროლა-კი მღეროდა, ვიდრე მოვიჯერებდი გულს და მერე დაეშვებოდა ძირს, დამაჯდებოდა ზურგზე, მკოცნიდა ნისკარტით ხუჭუჭა ბეწვში და სეირნობდა ჩემთან ერთად ჩვენ ტურფა ივრის ხა-

ლიჩაზე. ახ, ნეტავ კიდევ მიჩვენა ჩემი ტოროლა! — ამოიკვნესა ბატკანმა და გასძახა დედას თავისი „ბეეთი.“

— გინდა წავიდეთ ტოროლასთან? — შეეკითხა თინა დაღონებულ მეგობარს.

— მინდა, და მერე როგორ მინდა! დედისაც ძრიელ მენაღვლება, მენაღვლება ივრისა, მთისა, მინდვრებისაც...

— მაშ მოიცა! ახ, დედას გამოეშვიდობები და წავიდეთ; ჭეშმეტ, რომ მე და ბეკეკა ტოროლასთან მივდივართ მეთქი, და გავსწიოთ ერთად.

— გამოეშვიდობე: ძრიელ კარგი იქნება; გამოეშვიდობე, და წავიდეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედიჯან, მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით! — დაიძახა ძილში რაც ძალი და ღონე ჰქონდა თინამ და გააჭყიტა თვალები.

— სად მიდისარ, გენაცვალე? მოიცა, აი აღდგომაც გათენდა. „ქრისტე აღზდგა! ქრისტე აღზდგა,“ ჩემო ბატკანო!..

მიულოცა დედამ ძილისაგან ნახევრად გამორკვეულ თინას და გადაჰკოცნა სიყვარულით.

— იცი, დედი, მე და ჩვენი ბატკანი მივდიოდით ტორიალასთან... ტორიალასთან... მინდორში... ფურჩულებდა ლოგინში წამომჯდარი თინა და იფშუნეტავდა ნამძინარევ თვალებს.

— შენ და ბატკანი?

— ჰო, მე და ჩემი ბატკანი მივდიოდით...

თინას უნდოდა ეამბნა დედისთვის სიზმარი, მაგრამ ამ დროს ბიჭმა სინით შემოიტანა ოთახში უკვე შემწვარი, ფეხებდაკრუნჩხული თინას ბატკანი.

თინა თვალ-ცრემლიანი დაეშვა ბალიშზე.

ი. ევდოშვილი.

ფერცხვენილი სტუმრები.

(საღდგომო ამბავი).

I

ამაზრო ქალაქში სწავლობდნენ არჩილი და თიკო, განუერელი, კარგი მეგობრები, ერთმანეთის ბიძაშვილები, 11—12 წლის ქალ-ვაჟი.

ცოტა... ცოტა არჩილი სწავლაში მოიკოჭლებდა, მაგრამ იმედია, მკითხველებო, აპატიებთ, რადგან ეველა თქვენგანი არ ასცდენია ალბად ამ ხიფათს. სამაგიეროდ, იმდენი ლექსი იცოდა ზეპირად, რომ თიკო ჯავრით ადარ იეო, ხშირად ფიქრობდა: ნეტა თავში როგორ ეტევა მაგდენი ლექსიო.

თუ გინდა დაიჯერეთ, თუ გინდ არა, და ორი ჩურჩხელა რომ მიგეცათ, ან კარგი მაქოიანი ბზრიალა, „კაკო ეაჩადს“ თავიდან ბოლომდის ბებიის კრიალოსნის მარცვლებივით ჩასთვლიდა.

ჯერ კიდევ, მართალია, აი აღდგომა კარზეა და ეველიერში გატეხილი ცხვირი სულ არ გამთელებია, მაგრამ არა უშავს-რა; ესეც ხიფათია, თვითონ ხომ არ უნდოდა გადმოვარდნა?! ხელი ჭკრეს და საქანელიდან ძირს უფეხოდ გადმოხტა...

არც თიკო იეო ანგელოზი: დედას სკივრიდან კოშში მო-

ჭვარა და ფაცა-ფუცით სკივრის დაკეტვაში თითები შიგ მოჰყვა; ფრჩხილი ახლაც-კი ლურჯადა აქვს და დედის კითხვაზე იტყვის ხოლმე: ციცომ მიკბინა, ვერანმაო.

არც ეს იყო არჩილზე ბეჯითი, მაგრამ ეოველ-წლივ-კი კლასიდან კლასში გადადიოდა.

— თქვენში ადვილია სწავლა,—ეტყოდა არჩილი თიკოს რაიმე შენიშვნა'ზე,— აბა ჩვენსა ანგარიშში 20 ამოცანა გაკეთე!

— 20-კი არა—120! იტყუე, ვაჟო, იტყუე. განა ჩვენში-კი არ ვაკეთებთ ამოცანებს?!—ხელადვე გაწიწმატდებოდა თიკო.

ღმერთი, რჯული—ჩხუბი მოუვიდოდათ, ცოტა მაძის სუსხი რომ არა ჭქონოდა არჩილს.

— აღდგომას გამოგაჩნდება, ვაჟო, ვინც ბრძანდები,— ეტყოდა თიკო და წიგნს მუუაითად ჩაცქერდებოდა.

აღდგომის მოახლოვება და არჩილის შიშის გაქარწულება ერთი იყო: ცუდი ნიშანი არც ერთი არ ჭქონდა. მოწმობა დიდის რიხით მოიტანა ბზობის ბარასკევს და მაგიდაზე გადაშალა:

— ახლაც ბრძანე, თიკო, ქალო, ჩემი ცუდი!—თან დედას მიაჩერდა, თითქოს ეუბნებოდა: „დახეთ, რა ბიჭი ვარო!"

— სულ სამები, სამები!—წამოიძახა თიკომ და თავის აბგას ეცა მოწმობის ამოსაღებად.

მართლაც და არჩილის მოწმობაში სამიანები შემოდგომის ბატებივით იყვენ ჩამწკრივებულნი, მხოლოდ ერთი ხუთიანი „ქართულ ენაში" ობოლივით მომწყვდეულიყო შუაში და ისე დაღრეჯით იყურებოდა, თითქოს იხვეწება: მომაშორეთ აქედან, წამიყვანეთო; მაგრამ ვინ გაუგონებდა ხვეწნა-მუდარას, როცა არჩილი მხოლოდ მას მისჩერებოდა და სამიანებს თითქო ვერც-კი ჭხედავდა.

II

,,ჩემო საყვარელო გერიტებო, არჩილ და თიკო! თქვენ გენაცვალოთ თქვენი მამიდა, როგორა ხართ, შვილებო, როგორა სწავლობთ? ბეჯითად იყავით, კარგებო, სწავლაზე და გულის-ყური წიგნზე გქონდეთ.

,,აი, ბიძა თქვენი მოდის საადგომოდ საკაჭროდ და თქვენი აქ წამოყვანა დავავალე. ჩვენი ბაღი თეთრად არის გაპენტილი აყვავებულ ხეებით; ნუში დაიფოთლა კიდეც; ბაღჩაში იის სუნი დატრიალდა და მალე ჩვენ ერდოში მერცხლებიც მოფრინდებიან,

თქვენი ნახვის ნატრული **მამიდა სიდო.**"

დიდი აურ-საური ასტესეს მამიდის წერილის მიღებისას არჩილმა და თიკომ: არა ჩემია, არა ჩემიო. რომ ვერ მორიგდნენ, წერილი შუაზე გაუხიათ არჩილის დედამ და ორივეს თავში მიაგდო.

— შაქრო, კარგად უგდე ეური გზაში ამ ალქაჯებს, თორემ ერთმანეთს დასჭამენ, თუ დაირივნენ,—სთხოვა არჩილის დედამ ბიძია შაქროს,

— არხეინად იყავით; მე ვიცი ამათი, თუ არ გამიგონეს!? ახლა სევები ადიდებულია და ორივეს წყალში გადაგყრი, თუ ვერ დაგაშოშმინე!—მუქარითა სთქვა შაქრო ძიამ, მაგრამ მისი მუქარა ისეთი რბილი იყო, ისე სასიყვარულო, რომ არჩილმა და თიკომ ძიას ღიმილით ნათქვამზე გულიანიათ გადისარსარეს.

— გაზაფხულზე ჩვენი გართუბანი*) ავის თვალით არ ინახვის,—შეაქო ძიამ სოფელი;—აღარც წიგნო და არც რვეულო, არა არჩილ?!

*) სოფელი, სადაც მამიდა სცხოვრობდა.

—არჩილს იამა მიას უკანასკნელი სიტყვები.—,,მართლაც და რა სჯობია ორი კვირით დასვენებას ლამაზ გარეთუბანში, სადაც რამდენიც გინდა ირბინე, იხტუნე, ვინ არის დამშლელი; გინდა ქვებიც ისროლე: მე ვიცი—მაღაზიის ფანჯრები არ ჩაამტვრიო; აქ, ამ ქალაქში კი ნება და სურვილი შეხუთულია: ქვების სროლა არ შეიძლება, ეკირილი არ შეიძლება... მაშ რადა ჯანდაბა შეიძლება?!''

ფიქრობდა არჩილი და ოცნების ტკბილ სურვილში ცურავდა...

გზა მშვიდობით გაიარეს, 18 ვერსი გზატკეცილი ეტლმა ქროლვით გაიარა. უველაფერი კარგად იყო, თუ სათვალავში არ მიიღებთ, რომ გზაზე ცოტა, ძალიან ვატარა, სულ ვატარა ჩხუბი მოუვიდათ არჩილს და თიკოს.

—რამდენ ადგილს იჭერ, გაუმაძღარო!—შეჰვეირა თიკომ.

—გვერდები ჩამამტვრია, ისე მაწვება,—სწუხდა არჩილი.

—ფეხის თითები დამამტვრია!—სჩიოდა თიკო.

ნამდვილად-კი არჩილს გვერდები არ ჩამტვრევია; თიკოს ფეხის თითებიც უვნებლად იყო: არც ერთს ბუსიც არ აფურენიათ და საქმეც მალე გამოსწორდა: არჩილი მეეტლესთან დაჯდა და იქიდან ეღიჭებოდა გამწყრალ თიკოს.

III

გვიანი ვახშმობის დრო გადასული იყო. საცა არის შუადამე კარს დააკაკუნებდა და ,,ქრისტეს აღდგომას'' ქვეყანას ახარებდა, როცა არჩილი და თიკო, უკვე ახალ ტანისამოსში გამოწყობილნი, ლიტანიაზე წასასვლელად ემზადებოდნენ.

ნელი, თბილი სიო აქა-იქ დაიპარებოდა და რაღაცას ჩურჩულებდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ძირს დიდი ხმაურობა და სოფლის საუდრის ზარის წვრილი, წკრიალა

,,ნაუ, ნაუ!'' — ეველა ეს ურწმუნო ადამიანსაც სასოებასა ჭვერის და წუურვილი იბადება ტკბილი ფიქრის და სურვილისა...

— დასე, არჩილ, რა თეთრად მოსჩანს გაშლილი ჭერამი.

— ამბობენ, ადდგომის ღამეს ხეებსა ღვიძ'ვეთო! — ახსნის კილოთი სთქვა არჩილმა და ბალჩას მიაჩერდა.

მშვენიერი სანახავი იყო აივნიდან ამ შუადამისას ჰატარა, რგვალი ბალჩა: ჩრდილი მარტო ხეებ ქვეშ იყო, თორემ ისე ეველგან სიხარული დაბრძანდებოდა, და მისი ნახვით გულში სიამე იკვანძებოდა, თვალი წეალს ლეკდა და ეურს ხარის ტკბილი ,,ნაუ, ნაუ, ნაუ'' — არ შორდებოდა.

— მოდი, არჩილ, ჩვენი კვრცხები ვნახოთ, მაძიდამ რომ უნდა მოგვცეს!

— მერე, მაღლა შკაფში რომ აწეია! —

— სკამი მივიდგათ;

— კარგი!

ეველაზე უმალ ოთახში გაჩნდნენ, ფრთხილად სკამი მიიდგეს, ორივენი აცოცდნენ და ჰატარა კალათით მდგარ კვერცხებს ხელი წაატანეს.

ამბავი დიდი მოხდა:

კვერცხებით სავსე კალათა გადმოგვერდელავდა და კვერცხები სეტეგასავით თავზე წამოვიდა; არჩილს უნდოდა საქმის გამოსწორება, ამიტომ მეორე ხელი მიაშველა, მაგრამ ბედად ვერ მიიტანა და მეორე რიგში მდგომ რმით სავსე ქილას ხელი წამოჭერა. თიკო ამასობაში ჩახტა სკამიდან, მაგრამ თავს ვერ უშველა; მთელი რმე ორივეს თავზე გადაესხათ...

ამათ სმაურობაზე ბიძია შაქრო გამოვარდა მეორე ოთახიდან და, რა დაინახა მოძხდარი ამბავი, სიცილი წასქდა და იქვე ტახტზე მიწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერცხვენილი გარეთუბნელი სტუმრები თავ-ჩაღუნულები იდგნენ და ქვეშ-ქვეშ ერთმანეთს შესცქეროდნენ, თან არ იცოდნენ, თუ მამიდა რას იტყოდა.

ლურჯი ქიშმირის სალათი არჩილისა გათეთრდა ჭერამის ყვავილივით, ბალჩაში რომ დგას; თიკოს კოხტად დავარცხნილი თმა აბურძგნულიყო კაბასი კრუხივით და კაბაც გეცოდინებათ რას ეგვანებოდა.

სურათის დასასრულ, კვერცხებისაგან დაცარიელებული კალათი შკაფის მოაჯირზე მდგომ რძის ქილას თავს თითქოს ჩაჩქნად დაჭხუროდა, ალბად უნდოდა დაემალა, იყო რძე ქილაში, თუ სტუმრებმა დაღვარეს.

ამ ამბის გაგებაზე მამიდამაც გულიანად იცინა.

— მერე, შვილო, თქვენი არ იყო ის კვერცხები, საფრთხილო რა გქონდათ?! — ამშვიდებდა შერცხვენილ სტუმრებს მამიდა და თან სალიტანიოდ სხვა ტანისამოსს აცმევდა.

ვ. თამროშვილი.

ცრემლები.

ავსულის თბილი დღეა. ბაღის ბოლოში შტოებ-გაშლილ ხეზე შესკუპებულა რვა წლის ვანიკო. ამაყად იყურება ძირს და თავის თავი გმირად მიაჩნია. ჯერ არასოდეს არ ასულა ამ სიმაღლე ხეზე. დაარსია შტო და იფიქრა—,,აჰ, რა კარგია სიცოცხლე!"

იმავე ბაღში, სახლის ახლოს, ხის ქვეშ სკამზე ზის ვანიკოს ძამა, გენერალი—ქალაქის ცხენ-სიმაგრის უფროსი. გენერალს ვანიკოსაკენ ზურგი აქვს მიქცეული, გაზეთს კითხულობს და ვერ ამჩნევს ხეზე განაბულ შვილს. გაზეთის გადაბრუნების დროს გენერალმა შემთხვევით გზისაკენ გაიხედა. ჩხედავს—ტუსაღს თივით დატვირთული ურემი მოჰყავს საჯინიბოსაკენ. უშველებელ ურემს ძაღლა თივაზე ვატარა თეთრ-ფერანგიანი ბიჭი ახის. გენერალი დააკვირდა. ტუსაღმა რაღაც ანიშნა ბავშვს და ისიც ჩაწვა და ჩაიძალა თივაში.

,,ნუ თუ ვანიკოა!" ფიქრობს გენერალი,—,,ეოჩაღ, ბიჭო: როგორ მოახერხა იმ სიმაღლეზე ასვლა? ერთი იმას უყურეთ, რა გულადობას იჩენს... სამხედრო კაცი გამოჭვა. დაიძალა. იმ ტუტუცმა ტუსაღმა შეაშინა: ჩემი ეშინიათ... ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ხანს ვერ გაუგიათ სულელებს, რომ მე მხოლოდ სიმარ-თლე და სამართალი მიყვარს.“

გენერალმა ჩაახველა, ადგა და წავიდა საჯინიბოსაკენ. ვანიკომ გაიგონა მამის ჩახველება და ეურები სცქვიტა. დაი-ნახა თუ არა ვანიკომ, რომ მამამ ბაღიდან საჯინიბოსაკენ ეზოში გასწია, სწრაფად ჩამოსრიალდა ხიდან, გაძვრა მესრებს შუა, სწრაფად შემოურბინა სახლს ირგვლივ და მამას წინ მიეგება.

როცა ვანიკომ მამას სახეზე კეთილი ღიმილი შეამჩნია, გაეხარდა: ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა მასთან და ხელი მო-ჭიდა.

— ჭაი, ეოჩაღ! აბა, სად იყავი? მითხარი ახლავე!—ხუმ-რობით მკაცრად ჭკითხა გენერალმა.

— ბაღში, მამა.

გენერალს სახე მოეღრუბლა და შუბლი აუნაოჭდა.

— შენ იცი, რომ მე ტეუილები მძულს. მართალი სთქვი!

— მართალს ვამბობ, მამა: ბაღში ვიყავი.

— ნუ ცრუობ! მე კარგად დაგინახე, სადაც იყავი.

— დამინახე... მაპატიე, მამა! ვიცი, რომ მაღლა ასვლის ნებას არ მაძლევ, მაგრამ მე სულ დაბლა ვიჯექი.

— კაი დაბლა-კი იეო სწორედ!... მაგრამ საქმე ეს-კი არ არის: რისთვის იცრუე? რატომ არ სთქვი მაშინვე, რომ თი-ვით დატვირთულ ურემზე იჯექი მაღლა?

— თივით დატვირთულ ურემზე? როდის? მე თივაზე არ ვმჯდარვარ. ბაღში ვიყავი.

— კიდევ სტეული, საძაგელო! მე შენ გაგწკეპლავ.

— მამა, არა ვსტეული! ღმერთმანი!

— ღმერთსაც ფიცულობ! ცრუობს და ფიცულობს კიდე-ვაც!..—გრგვინავდა გენერალი.

— მამა, ეური მიგდე! წავიდეთ, მე გიჩვენებ, სადაც ვიყავი. მართალს გეუბნები: ხეზე ვიჯექი, ძვეგითა შტოზე, დაბლა. აი, წავიდეთ!

ვინიკომ ისევ ჩაავლო ხელი მამას და გასწია ბალისაკენ.

გენერალი ჩუმად მიეიდა ხესთან და მოსტეხა ტოტი.

— ახლა წავიდეთ საჯინიბოში. თუ ისიდორემ დაადასტურა, რომ თივაზე შენ იყავი, ამ ხის ტოტით გაგწკეპლავ, იცოდე.

— წავიდეთ, მამა. მე არ მეშინია, იმიტომ რომ მართალს ვამბობ. ისიდორეც ამასვე იტეოდა, რომ თივაზე არ ვმჯდარვარ.

თიეიანი ურემი უკვე საჯინიბოსთან იდგა: სიმეეით გაჭიმული, ისიდორე უქუდოთ იქდგა იქავე და გენერლის მოახლოებას უცდიდა.

— ისიდორე!—დაუძახა შორიდანვე გენერალმა:—მე დავინახე ბალიდან, რომ ურემზე მაღლა თივაზე ჰატარა ბიჭი იჯდა.

ტუსაღი გაფითრდა და როგორღაც მოიბღუნძა.

— ბიჭი იჯდა, თუ არა-მეთქი?—შენ გეკითხები!

— დიაღ, იჯდა, თქვენო აღმატებულებავ.

— ეს იჯდა? მართალი სთქვი!—თუ მართალს იტყვი, არ დაგსჯი.

— დიაღ, თქვენო აღმატებულებავ: ესენი ბძანდებოდნენ. ვანიკომ ინება თივაზე დაბძანება.

— რა მოგეეიდა, ისიდორე,! რათა სტყუი... მე არ ვეოფილვარ!—დაიყვირა ვანიკომ.

— არა, არ ვსტყუი, თქვენო აღმატებულებავ: თქვენ ბძანდებოდით.

— ტყუილია, მამა: ისიდორე ცრუობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჩუმდი! ისიდორე-კი არა, შენ სტეფი. ის ვერ გამიბედავდა მოტეფებას.

ამ სიტყვებით გენერალმა ჩაავლო ხელი შვილს; ვანიკოს ჰაწია ფეხები ასავსავდა ჰაერში; გაისმა ხის შტოს სუბუქი ფართხუნი და ვანიკოს ტირილი.

გენერალმა შტო იქით გადააგდო და გასწია ისევ ბაღისაკენ გაზეთის დასათავებლად.

ვანიკო ისწორებდა ტანისამოსს და ტიროდა.

— რისთვის, რის გულისთვის?— მე ხომ არ ვსტეფოდი... რა საძაგლობაა სიცოცხლე! როგორ არ გრცხვენია, რომ იცრუე...— მიეარდა ის ტირილით ისიდორეს:— რა საძაგლობაა!.. შენ იცრუე, და მე ამისათვის გამწკეპლეს...

— ბატონო, მაპატიე ღვთის გულისათვის. განა გავბედავდი მეთქვა გენერლისათვის, რომ ურემზე ჩემი ძმის-წული იჯდა. მის აღმატებულებას ეს რომ შეეტყო, მაშინათვე უბრძანებდა და გამწკეპლავდნენ. შევშინდი. მე ხომ ისე მსუბუქად არ გამწკეპლავდნენ, როგორც შენ. მე როდი შემიბრალებდნენ. მაპატიე, ბატონო: ვიცრუე.

ისიდორემ დაიჩოქა ბავშვის წინ და ლოყებზე მსხვილი ცრემლები გადმოსცვივდა.

— მაპატიე, ბატონო...

ვანიკო მიეარდა, მოეხვია ისიდორეს ყელზე, ეკვროდა სახეზე და განაგრძობდა ტირილს.

ბავშვის ცრემლები უერთდებოდა ტუსაღის ცრემლებს...

ნინო ნაკაშიძე.





ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.

ელს, იანვარში, შესრულდა ოცდა-ათი წელიწადი, რაც ვლადიმერ, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან,— ლადო ალექსი-მესხიშვილი ემსახურება თეატრს და, როგორც შეუდარებელმა მსახიობმა, მთელი ქართველი ერის სიყვარული დაიმსახურა. მთელ საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველოში, დიდი და ჰატარა, ყველა იცნობს და მუხლს იდრეკს იმისი ნიჭის წინაშე. მსახიობის მოღვაწეობა და ნამეტნავად იმ-სთანა ჰატარა ერში, როგორც ჩვენ, ქართველები, ვართ, ერთობ ძნიშეა: იმდენ საშვალებას არ აძლევს მსახიობს, რომ შეეძლოს თავი ირჩინოს. ყოველი ქართველი მსახიობი საქმის დიდი მოსიყვარულე უნდა იყოს, რომ აიტანოს ის გაჭირვება, რასაც ჩვენი მსახიობები ითმენენ. ის ადამიანი, რომელიც მთელ ოცდა-ათი წლის განმავლობაში დაუღალავად ეწევა მსახიობის ძნიშე მოვალეობას, სწორედ გმირად უნდა ჩაითვალოს.

თეატრი იგივე სკოლაა, სადც ცხოვრება იშლება მაყურებლის წინაშე და თვალსაჩინოდ ხატავს ადამიანთა ერთურთ შორის დამოკიდებულებას, ჭირ-ვარამს, ტანჯვა-სიხარულს და არკვევს ამ დამოკიდებულების საღსა და დუხჭირ მხარეებს. ყოველი დიდი მსახიობი, რომელიც უფრო ღრმად, საგსებით და ბუნებრივად გამოხატავს ჰიროვნებას და თვალსაჩინოდ ხდის იმის მისწრაფებას, უფრო ღრმა კვალს სტოვებს ადამიანის სულში, უფრო მკაფიოდ გაჰყავს გზა ბედნიერებისაკენ. ამიტომაც მსახიობი ამავე დროს არის კეთილი მასწავლებელი. ხალხი ყოველთვის ელტვის სიკეთეს და ამიტომაც უყვარს თავისი კეთილი მასწავლებელი—ჩვენი ძვირფასი მსახიობი ლადო უყვარს მთელ ქართველ ერს, აფასებს იმის ღვაწლს და საქმის სიყვარულს და ამიტომაც გაუმართა დღესასწაული მოღვაწეობის ოცდა-ათი წლის თავზე.

იდღესასწაულეს ეს შესანიშნავი დღე თბილისში, ქუთაისში, ბათომში, ბაქოში, სოხუმში, ზუგდიდში, და სხვაგანაც აპირებენ. ყველგან დიდის აღტაცებით ეგებებიან: დიდი და ჰატარა ულოცავს დღესასწაულს. თბილისში სხვათა შორის მიულოცა „ნაკადულის“ წარმომადგენლებმა—ოთხმა ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილმა ბავშვმა: სუსანა ელიავამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეოგია ტოროშელიძემ, დიომიდე ანთაძემ, ბაგრატიონის ქალმა, და მიართვეს უვეკილები. ქუთაისში ბ-ნ სვიმონ ქვარიანის ბატარა ქალმა თინამ მიართვა ეკავილები და ლექსით მიმართა. თინასაგან თქმული ლექსი მოგვეკავს აქვე.

ლადო ძიას.

მოირბინეთ, მოცქრიალდით,
ფატი, ტასო და ელენა!
იცით ვინ ზის საკარძელში!
ლადო ძიას იცნობთ თქვენა?
ამას წინად მამაჩემმა
დამანახვა მე ეს ძია,
და ვიფიქრე—დღეობაზე
მიმერთმია მისთვის ია.
—აბა, მომაქეს თაიგული
შენთვის, ზეცით შემკობილო,
ქართულ სცენის სიამაყევ,
ივერიის ტურფა შვილო.
სალამს გიძღვნი ბაწა თინა
და გილოცავ ნეტარ დღესა,
თავზე გადგამ დაფნის გვირგვინს,
ფეხ-ქვეშ გიფენ ეკავილებსა.

ანდაზა.

აქლემი გახდა ავადა,
გასჭირებიეო, კვდებოდა:
სულის დალევას ლაძრობდა,
სიცოცხლის ძაფი სწყდებოდა;
სნეულს, ვით ჭირისუფალი,
მელია გვერდსა ჰხლებოდა.

*
* *

ნახა აქლემმა და ჰკითხა:
„რისთვის მოსულხარ, მელაო?
„რად მიცქერ ავად, ჩემგანა
„ნუ თუ რამ გახსოვს წყენაო?!“

*
* *

— შენ სიკვდილს ვუცდი, აქლემო,
კანჯ-მრუდო, კისერ-გძელაო:
მალე შევესწრო — შენთვისა
ღმერთს რომ დღე დაებნელაო;
მოვუჯდე შენ ლეშს უშიშრად,
შევეძცე ნელა-ნელაო.

*
* *

,,ვაი, რა მოსტეუებულხარ,
შე ბრიეგო, ჭკუა-თხელაო:
მანამდე გრძელი კისრიდან
მე სული ამოძხდებაო,
ათასჯერ მოგკლავს შიმშილი,
შე უბედურო, შენაო!

ვაჟა ფშაველა.

ამოცანა

(წარმოდგენილი ქუთ. 1 კლას. მოწ. მიხ. ქაჯაიას-მიერ).

ამ რვა რიცხვის მიხედვით უნდა შეადგინოთ ქართველი პოეტის გვარი. შემადგენელ ასოებისაგან შემდეგი სხვა-დასხვა სიტყვებიც ამოიკითხება.

1)	1 2 3 4 5 6 7 8	2)	5 6 4 3 (ჭურჭელი)
3)	5 6 7 8 (სხეულის ნაწ.)	4)	4 7 8 2 3 (სოფელი)
5)	1 2 3 (ხალხი)	6)	5 6 2 8 (საკრავი)
7)	5 7 1 (დრო)	8)	5 8 7 6 (ბალახი)

შარადა.

(წარმოდგენილი პ. ნიორაძისაგან).

ერთი თავის ნაწილია
და მეორე ან-ბანისო;—
აშვებული ძირს აგდია;
თუ დაბაბამ, კი დადისო.

მე-6 №-ში მოთავსებულ შარადის და რებუსის აღსნა:

1.—ტყემალი.
2.—ჩიტი ბდღვნად არა ღირდა დევნა მეტი იეოვო.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(ვირაობით)

ჰრემიად 1913 **წლის ხელის მოწერთ მიეცემათ** **ორი წიგნი**

1 **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ძართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. **ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.**

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8 მ.	7.50	6 75	6 მ.	5 25	4.50	3.75	3 მ.	2 25	1.50	75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. **ნაწილობით**

რედაქცია იმყოფება სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლში, შესავალ ეზოდან

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე**

გამართულია ხელის მოწერა

1913 წლის

„ხმა პახეთისა“-ზე

წელიწადი მეორე

1913 წელს ჯერ-ჯერობით გაზეთი გამოვა კვირაში **ორჯერ,** ხუთშაბათობით და კვირაობით

გაზეთის ფასი:

ფოსტით გაგზავნა.		**სიღნაღში და სოფლებში.**	
ერთი წლით . . .	3 მ. 50 კ.	ერთი წლით . . .	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით.	1 „ 80 „	ნახევარი წლით. .	1 „ 30 „
ერთი თვით . . .	— 40 „	ერთი თვით . . .	— 25 „

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და სხვა ანგარიშები უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: г. Сигнахъ К. І. Ткавадзе.

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მეცხრე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⸗ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა **საჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან, „ბიძია თომას ქოხი“-ს** სრულ თარგმანს. **წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია.**

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. ხრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. უაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან და ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—თეოფილე კახიანელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლოშინაძესთან. **ოზურგეთში** ⸗ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვახო ბაატაშვილთან. **ახალ-ციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლოშაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნაღში**—ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში**—ივ. სასთაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**